საყმაწვილო ჟურნალი მცირე წლოვანთათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

წელიწადი მე-III. № 19 ოქტომბერი 1907წ.

ილია ჭავჭავაძე

ტფილისი
ელექტრონის სტამბა წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობისა.
1907

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

I—ბატკანი და ცხვარი.—ლექსი შიო მღვიმელისა . . . 3

II—პალია და წაბლა.—ცქვიტისა 5

III—ბედნიერებას სიხარბით ვერ მოიპოვებ.—კოლა ასათიანისა. 8

IV—დაუპატიჟებელი სტუმარი.—თარგმანი მ. დემურიასი . 10

V—ვირის თავგადასავალი.—თავი მე-VI. ნ. ეიფვანისა . . 13

VI—ჭია.—ელენე ჭიჭინაძისა თარგმანი 19

VII—ანდაზები და გამოცანები:—ა) გამოცანა,—ბ) საყურადღებო ციფრები, შედგენილი ვარსკვლავთმრიცხველ ასოფ სოლლეისაგან,—გ) არითმეტიკული გამოცანა,—დ) რებუსი,—ე) აღსნა 23

[illegible]

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბატკანი და ცხვარი

ატკანმა ჰკითხა დედასა,
—დედავ, რისთვისა ბღავიო?
—იმად, რომ გული მიკვდება,
რადგან მოგელის ავიო.

საქართველოს სახელმწიფო
თბილისი
ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუ თუ არ უნდა ვტიროდე
როცა გაწვდიან იელსა?
მაშ რაღას ვაქნევ ამ გულსა,
ისედაც ოხერ-ტიელსა!..

თუ შენზეც აღარ ვიფიქრე,
სხვა ვინ მეავს ქვეყანაზედა?
ჩემი ვარსკვლავიც შენა ხარ,
მზეც ჩემი შენხარ ცაზედა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩემს გულში მაღლა გაუენებ
თვით იალბუზის მთაზედა...
მაშ არ ვიტირო, რომ გხედავ
გადაგვარების გზაზედა?!...

შ. მღვიმელი

კალია და ფაგლა

აშინელი ბურუსი ჩამოსწოლოდა არე-მარეს. ცა შავი ღრუბლებით იყო შემოსილი ფ ქვეყნიერება დილის ბრწყინვალე სინათლის მაგივრად ბნელით იყო მოცული. ცა გრგვინავდა და წარა-მარა შავ ღრუბლებში გველივით დაკლაკნილი ელვა თვისი სინათლით ადამიანს თვალს უბრმავებდა. ცა გრგვინავდა, მაგრამ არც დედა-ძიწა იყო გაჩუმებთლი; ტყის იდუმალი შრიალი და მთა-ბარის ქუხილთან ერთად ღრიალი ადამიანს შიშს და ძრწოლას ჭგვრიდა.

— აი შენ გატიალდი, კარგი ბედის ხალხი ჩვენა ვართ! აბა ზოგი ასლა დამიმწიფდება ი ორი კიმალა ეურძენი, თუ ამ ვერანა სეტყვამ ჩარეგვა არე მარე!.. ჭამო, წაბლავ, შენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაღას გატვრენილხარ და აგრე მძიმდა ხვნეში! ნუ გეშინიან, ქვეყანა ისე არ წახდება, რომ საშენო ბალახი მაინც არ დარჩეს! ან იქნება შენც გეშინიან ამ გრიალისა? წამო, ქვემოდ ჩავიდეთ, მაგრამ ჭეი! ი ტიალმა აგერ სოფელში როგორ დააყარა!

ამ დროს მაღლობზედაც მსხვილ წვიმასთან ერთად ვეებერთელა კენჭებივით სეტევა რაკა-რუკით ძირს წამოვიდა.

ჰალია რომელიც სისხამ დილით ფიჩხის მოსაჭრელად ტეეში წასულიეო და თან თავისი კალოში მოქანცული, საევარელი წაბლა საძოვნელად და დასასვენებლად წაეყვანა, ახლა დაბლა მინდორში დაეშვა გზაზედ, მაგრამ სანამ დაბლა ჩამოვიდოდა, სეტევა ლაწა-ლუწით და გრიალით ძირს ეფინებოდა და საბრალოს თავსა და ჰირში სცემდა. ხარიც გვერდზედ მეგობრულად მისდევდა და მისი ხვნეშა იმ გრიალში ახლა მხოლოდ ჰირიდან ამონაქშენი ორთქლით-ღა გაიგებოდა. ჰალია მივიდა ხის ქვეშ, რომელიც დაბლობზედ ერთს კლდეს მინდვრის ჰირად სჩრდილავდა. აქედგან კალოზედ უნდოდა ჩარბენა და იქ საბძელში თავ-შეფარებას ფიქრობდა, მაგრამ ისეთი სხვილი სეტევა მოდიოდა, რომ ისევ იმ მუხის ქვეშ დარჩენა არჩია; მუხის ქვეშ წვიმა ისე არ ჩადიოდა, მხოლოდ ერთს მხარეს აეუდებული ვეშაპივით კლდე მეუდრეობას აძლევდა იქაურობას. ჰალიამ ქუდი მოიხადა, რადგანაც ახლა მისი წუწები კისერში ჩასდიოდა, მაგრა გაწურა და იქვე ტოტზედ ჩამოჰკიდა. ცა საშინლადა გრგვინავდა, სეტევამ-კი გადაიარა და ახლა სადღაც ჩრდილოეთით ისეთი მრისხანებით სცემდა მიწას, რომ მისი შხუილი ჰალიასაც-კი ესმოდა. გადიღო წვიმამაც, მაგრამ შავი ღრუბელი და განრისხებულ ცისა გრიალი გაოხრებულ და ჩარეგვილ ქვეყანას მაინც ბოროტს უქადდა.

— აი შე გატიელებულო, არ გეეო ჩვენი უბედურება, სხვა რაღა გინდა!... ოჰ... ჩვენთან არს ღმერთი!.. —ათრთოლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით წამოიძახა ჰალიამ და სიჩქარეზედ. ჰირჯვარი გადაისახა, რადგანაც ერთი ისეთი გაიელვა და დაიგრიალა, თითქოს იქაურობა დაანგრიაო. ამ გრიალზედ წაბლა, რომელიც ხის ძირში ჰალეს გვერდით წენარად იდგა, უცბად შეკუნტრუშდა, გავარდა განზედ და ღმუილით მიწას ფეხით ფხოჭნა დაუწყო.

— სად მიხვალ, ვერანო! აქ არ გირჩევნიან!.. შე... არე-მარე კვლავ უფრო მკაცრად ცეცხლის ალმა შეეხსა, ერთხელ კიდევ იჭექა უკანასკნელად...

წაბლა ამ დროს ქვემოდ გარბოდა, მაგრამ, თითქო უკან დარჩა რამეო, ცოტა ხნით ისევ ჩერდებოდა, მთვრალივით ტრიალებდა და ღმუილით ფეხით მიწას ფხოჭნიდა. ბოლოს ერთი კიდევ შეხედა ჩამოჩეხილ უშველებელ მუხას, რომლის ქვეშაც თავისი ჰალია ვეღარ დაინახა და რომელსაც შავი ბოლი ასდიოდა, შემდეგ-კი გაშწარებული ღმუილით სოფლისაკენ გაიქცა.

ცქვიტი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბედნიერებას სიხარბით ვერ მოიპოვებ

აცმა ჩიტი დაიჭირა, ძოუნდომა შეჭმა. ჩიტმა უთხრა:

— წონით რვა მისხალი ვარ; თუ არ გჯერა, ამწონე. ერთ ლუკმად არ გეყოფი. გამათავისუფლე, სამაგიეროდ ბედს შეგერი. ორ მცნებას გასწავლი, რომლითაც იმდენს შეიძენ, რომ ბედნიერებას ეწევი. აბა, გამიშვი, შევიფთხრიალო, შევფრინდე აგერა, ამ ხის კენწეროზედ, იქიდგან გეტყვიო.

კაცმა გაათავისუფლა ფრინველი.

სიხარულით შეფრინდა ჩიტი ხის შტოზე და გადმოსძახა:

— მტკიცედ დაიხსომე, რასაც გასწავლი, რომ ცხოვრებაში გამოიყენო. პირველი მცნება ჩემი ესაა: თვალსარბი და ანგარების მიმეოლი ნუ იქნები. სხვის ნაშრომ-ნაამაგარს ნუ მიითვისებ. შენსას დასჯერდი.

მეორე მცნება: რისაც ძალღონე არ შეგწევს, ნუ შეებმი, ვიდრე ეგელაფრით კარგად არ მოემზადო.

კაცი გულმოდგინედ უსმენდა.

ჩიტი შეესუმრა:

— რად გამათავისუფლე?! ჩემს ფერდებში, ორივ მხრივ, თითო მვირფასი ლალი მიძევს; თითო ოც მისხალს იწონს. გამჭრიდი, ამოიღებდი და... ისარგებლებდი!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცს ნამეტანი სიხარბით დაავიწყდა ჩიტის პირველი ძღნება; გული დასწყდა, თავში წაიშინა,—ეს შეცდომა რად ჩავიდინეო, ფიქრობდა.

ჩიტმა მწარედ ჩაიცინა და თავს სიცილი დააყარა:

— რეგვენო, ჩემ გვამში ორმოც მისხლიანი თვლები როგორ მოთავსდება, როცა ჩემი სიმძიმე რვა მისხალს უდრის?

ბრძნულად თქმულა: „ხეს მრუდედ ნაზარდს ჭობოშნის წასმით ვერ გაასწორებო“.

კოლა ასათიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუპატიჟებელი სტუმარი

(თარგმანი)

უჩქებში მიწის ჰირად გულუვითელას ჰატარა ბუდე იყო, შიგ სამი ბარტეი იჯდა ერთიერთმანეთზედ მიკრული.

ბაყაყმა-ეიეინამ დიდი ხანია იცოდა ბუდის მდებარეობა. გულუვითელები ბუდეს რომ აშენებდნენ, იმან დაინახა; შიგ ჩიტები მოთმენით ისხდნენ კვერცხებზედ და სჩეკდნენ... ბოლოს უბუმბულო, ტიტველა, ჰირუვითელი ბარტეები გამოჩნდნენ. მაგრამ ვერ წარმოიდგენთ, რა მოუსვენარი მეზობლები იყვნენ! დილიდან საღამომდე შეუჩერებლივ ჭეიოდნენ და საცოდავად ჰირს აღებდნენ, თავი მოაბეზრეს ეიეინას.

ეიეინა ბუდესთან მიხტუნავს და ბევრ-ხანს უყურებს ბარტეებს; ისინი-კი თავისას გაიძახიან:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გვშიან!.. გვშიან!.. გვშიან!..

— „დიახ,—ფიქრობს ეიეინა.—საჭმელი ყველაზედ უპირველესი საჭიროებაა!.. ოღონდ საჭმელს შოვნა უნდა“!..

ეიეინა პატარა, სუსტი არსება იყო და იცოდა, რა ძნელია რაიმე საჭმელის შოვნა.

ბარტყების ჭეიკილზედ გულყვითელა მოფრინდა სანოვაგით გატენილი პირით— ბუზებით, კოღოებით, მატლებით ჭიებით. მოტანილს საჭმელს სწრაფად სტენდა ბარტყებს გაღებულ ნისკარტში. ისინიც ისე ჩქარა ჭყლაპავდნენ!... თითქმის იხრჩობოდნენ, და კიდევ უფრო ძალიან აღებდნენ სახეს.

შეშურდა ბაყაყს.

— „რა უბედური ვარ!—დასტიროდა ეიეინა თავის თავს.— ჩემთვის ხომ ესრე არავინ იზრუნებს“!.. როცა ბარტყები წამოიზარდნენ, ძოღონიერდნენ და სმენაც განუვითარდათ, ერთხელ ეიეინა ეწვია და უთხრა:

— ძმიერი ვარ! მაჭამეთ რამე.

— თითონ ჩვენცა გვშიან! ااا!—დაიწყეს ყვირილი ბარტყებმა. მოფრინდა გულყვითელა, ყველას თითო სუქანი კოღო ჩაუდო პირში, და ისევ გაფრინდა ახალ-სანოვაგის საშოვრად. როდესაც უკან დაბრუნდა, შიშისაგან კინაღამ გრძნობა დაკარგა:

იმისი ბარტყები ტოტებზედ ისხდნენ და საცოდავად ჭეიოდნენ, ბუდეში-კი ამაოდ გამოჭიმულიყო ეიეინა.

გონება დაბნეულმა დედამ ჰკითხა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეს რასა ნიშნავს? რა გინდა შენ ჩემს ბუდეში?

— მშიან! — უთხრა ეიეინამ. — რამე საჭმელი მომეცი, თორემ თითონ შენ შეგჭამ!..

გულეგითელას გაეცინა, თანაც შეებრალა საცოდავი ეიეინა, აიღო კარგი გემრიელი, სუქანი ბუზი, მისცა და უთხრა:

— აჭა, სჭამე. მხოლოდ აქედან-კი გამეცალე!

ეიეინამ შეჭამა ბუზი და თავისთვის წაცოცდა.

თითონვე შერცხვა, რომ ასე შეურაცხეო და შეაშინა გულეგითელა ისე შერცხვა, რომ მას შემდეგ ვეღარა ბედავდა საწყალი ჩიტის და ღმის ბარტყების შეწუხებას.

მ. დემურიასი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ვირის თავ-გადასავალი

თავი VI

ედნიერი ვიყავი მეთქი, ეს ხომ წინად მოგახსენეთ. ჩემს ბედნიერებას ბოლო მალე მოეღო. გიორგის მამა ჯარში იყო; დაბრუნდა სახლში და მოიტანა თან ფული, რომელიც მას მისმა კაპიტანმა დაუტოვა, როცა კვდებოდა, და ჯვარი, რომლითაც ის მისმა ღენერალმა დააჯილდოვა. იყიდა სახლი, წაიყვანა თავისი პატარა ბიჭი და მოხუცი დედა და მე ერთ ფერმის პატრონს მიმყიდა. ძალიან დამაღონა ჩემი კეთილი მოხუცი ქალბატონის და გიორგის დაშორებამ; ორივენი ყოველთვის კარგები იყვნენ ჩემთვის და მეც კარგად ვასრულებდი ყოველ ჩემს მოვალეობას.

ჩემი ახალი პატრონი ცუდი კაცი არ იყო, მაგრამ ერთი სულელური ზნე სჭირდა: ყველას დასაქმება უყვარდა და სხვებთან ჩემიც. შემაბა ერთ პატარა ურემში და მაზიდვინებდა მიწას, პატივს, ხილს, შეშას. თანდათან სიზარმაცე შემომეპარა; არ მიყვარდა ურემში რომ შემაბამდნენ და მეტადრე ბაზრობის დღე. ძალიან არა მტვირთავდნენ და არცა მცემდნენ, მაგრამ იმ დღეს დილიდან მოყოლებული თითქმის საღამომდინ მშიერ-მწყურვალი უნდა ვყოფილიყავი ხოლმე. მეტადრე სიცხის დროს, წყურვილი მარჩობდა და მე-კი უნდა მელოდნა, მინამ ყვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაფერს გავეიდდით, მინამ ჩემი პატრონი ფულს მიიღებდა, მინამ მეგობრებს გამოეთხოვებოდა, მინამ ცოტას გადაჭერავდა.

ვიეავ ხოლმე. მინდოდა, რომ კარგად მომქცევოდნენ, თუ არა და სამაგიეროს გადახდა ვიცოდი. აი ერთ დღეს რა გამოვიგონე; ბენ ნახავ, რომ ვირები სულელები არ არიან, მაგრამ ამასაცკი გაიგებ, რომ მე ცუდი შევიქენი.

ბაზრობა დღეს ჩვეულებრივზე უფრო ადრე ადგნენ ეველანი ბოსტნეულობა მოჭერიფეს, კარაქი ამოიღეს, საბუდრებიდან კვერცხები მოაგროვეს. მე მთელი ზაფხული გარედ ვიეავ ერთ დიდ, შემოღობილ მინდორში. ვხედავდი და მესმოდა ეს მზადება და ვიცოდი, რომ ათ საათზე მომძებნიდნენ, რაც რამ გასასეიდლად უნდოდათ, ეველა იმით გამსებულ ურემში შემაბამდნენ და წამიეანდნენ. წეღანაც მოგახსენე, რომ ბაზრობა თავს მაბეზრებდა და მღალავდა. მინდორში ერთი თხრილი შევნიშნე, სულ მაეველისა და კვრინჩხის ბუჩქებით იეო სავსე. ვიფიქრე, წასვლის დროს შიგ ჩავიმალები და ვერ დამინახვენ მეთქი.

თხრილში ჩუმად ჩავიპარე და ისე ჩავიმალე, რომ შეუძლებელი იეო ჩემი დანახვა. ერთი საათი ვიქნებოდი მაეველისა და კვრინჩხის ბუჩქებში ჩაფლული, როდესაც ბიჭის აქეთ იქით სირბილი და ძახილი შემოესმა. ბოლოს სახლში დაბრუნდა. ეტეობოდა, პატრონისთვის ეთქვა,—დაკარგულაო, რადგან იმავე წამს მოესმა იმისი ხმა, თავის ცოლს და ბიჭებს ჩემს საძებნელად უძახდა.

— გარედ გავიდოდა, სთქვა ერთმა.

— საიდან უნდა გასულიეო, ღობე გარღვეული არსად არის! უპასუხა მეორემ.

— იქნება ჭისკარი ღია დასტოვეს, უთხრა პატრონმა,— გაიქეცით მინდორში, ბიჭებო, შორს არ უნდა იეოს წასული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასწით მალე და მოიეგანეთ, თორემ დრო გადის და დაბრუ-
ნება გვიან მოგვიხდება.

იმათაც გასწიეს მინდვრისაკენ, ჭალებისკენ, თან მირ-
ბოდნენ, თან მიმახდნენ. მე ჩუმად ვიცინოდი ჩემს თხრილში
და ეურსაც არ ვიბერტყავდი. საწყალი ბიჭები ოფლში გაწუ-
რულები და დაქანცულები დაბრუნდნენ. ძთელი ერთი საათი
მეძებეს ეველგან. პატრონი იგინებოდა; სთქვა, ნამდვილად
მომპარესო და ის-კი ისეთი უხეირო გამოდგა, რომ თავი
მოაპარვინაო. შეაბა ცხენი და ბაზრისკენ გაეშგზავრა. როდე-
საც დავინახე, რომ ეველანი თავის საქმეს დაუბრუნდნენ და
ვერავინ დამინახავდა, საფარიდან სიფრთხილით წამოვეავ თავი,
მივიხედ-მოვიხედე და რაკი მარტო ვიეავ, სულაც ამოვედი.
მინდვრის მეორე კუთხეში გავედი, რომ ვერ მიხვედრილიეენენ,
სად ვიმალებოდი, და მოვეე ეროეინს, რაც ძალი და ღონე
მქონდა.

ამ ხმაურობაზე ხალხი მოიჭრა.

— ბიჭოს, აგერ ძოსულა! შეჭეეირა მენახირემ.

— ნეტა საიდან? იკითხა ქალბატონმა.

— საიდან უნდა გასულიეო? იკითხა მეურმემ.

გაზარებულმა, რომ ბაზრობა თავიდან ავიცილე, მივირ-
ბინე მათთან.

იმათ კარგად მიმიღეს, დამიეეავეს, მაქეს, რომ ქურდებს
ხელიდან გამოვუსხლტი და იმდენი ქება შემასხეს, რომ ცოტა
არ იეოს შემრცხვა, რადგან კარგად ვიცოდი, რომ სახრის
ღირსი უფრო ვიეავ, ვიდრე ალერსისა. მიმიშვეს სამოვარზე და
იმ დღეს მშვენივრად გავატარებდი, სინიდისს რომ არ შეეეწუ-
ხებინე,—ჩემს პატრონებს რად ვეულალატე მეთქი.

როდესაც ფერმის პატრონი დაბრუნდა და ჩემი მოსვლა
შეიტეო, ძალიან ისიამოვნა და ძალიანაც გაიკვირა. მეორე
დღეს მინდორს გარს შემოეარა და სადაც-კი ოდნავ გაფუჭე-
ბული იეო ღობე, ეველგან შეამაგრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ძალიან ეშმაკი უნდა იყოს, რომ ეხლა აქედან გაგ-
დეს. სთქვა იმან, როდესაც გაათავა.—სულ ეკლით გამოვ-
ხლართე, სადაც-კი ოდნავ დაშლილი იყო. კატაც-კი ვერსაიდან
გაძვრება.

ერთმა კვირამ მშვიდობით გაიარა; ჩემს ოინზე აღარავინ
ფიქრობდა. მაგრამ მოძავალ ბაზრობას ისევ ჩემს საძრახის
საქციელს მივმართე და ჩავიმალე იმ თხრილში, რომელმაც
ისეთი დაღალვა და მოსაბეზრებელი საქმე ამაცილა თავიდან.
მომძებნეს, როგორც წინად, გაჰკვირდნენ უფრო მეტად და
გადასწყვიტეს, რომ ვიღაც გამოცდილმა ქურდმა გამიყვანა
ჭისკრიდან.

— ეხლა-კი ნამდვილად დამეკარგა, სთქვა დაღონებულმა
პატრონმა.—მეორედ ველარ გამოუსსლტება ხელიდან და კი-
დევაც რომ გამოექცეს. ვერსაიდან შემოვა, ისე კარგად გავა-
მაგრე ყველგან ღობე.

და წავიდა ოხვრით სახლისაკენ. ამ სანადაც ცხენმა კას-
წია ჩემ მაგივრობა. როგორც წინა კვირას, ყველანი რომ წა-
ვიდ-წამოვიდნენ, ამოვედი საფარიდან, მაგრამ უფრო ფრთხი-
ლად-კი მოვიქეცი და ი-აას ძახილით არავის გავაგებინე, რო-
გორც წინად.

რაკი მნახეს, რომ ჩემთვის მშვიდად ვსძოვდი მინდორში
ბალახს რაკი ჩემმა პატრონმა შეიტყო, რომ სწორედ მაშინ
გამოვჩნდი, როდესაც ის ბაზრობაზე წავიდა, შევატყე, რომ ეჭვი
შეიტანეს ჩემს ცულლუტობაზე. ხმა არავინ გამცა, უნდობლად
დამიწყეს ეურება და შევნიშნე, რომ უფრო თვალეურს მადევ-
ნებდნენ. მე-კი გულში დავცინოდი და ვამბობდი:

— აბა, თუ ბიჭები ხართ, გამიგებთ, რა ეშმაკობას ჩავ-
დივარ? მე თქვენზე ეშმაკი ვარ და ამასიქითაც მოგატეუებთ
მეთქი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესამედაც დავიმალე, ძალიან კმაყოფილი ჩემი მოხერხებით. მაგრამ ის იყო ჩავეშვი ჩემს თხრილში, რომ შემოესმა საშინელი ყეფა ჩვენი დიდი ძაღლისა და ჩემი პატრონის ხმა:

— დაიჭი, თოლა, მარჯვედ, მარჯვედ! ჩახტი თხრილში, უკბინე კუნთებში, მოძიეკვანე აქ! ეოჩაღ, ეოჩაღ, ჩემო ძაღლო!

თოლა მართლა ჩამოხტა თხრილში, მწვდა კუნთებში, მუცელში. ის იყო გადამელაპარაკა, ორმოდან რომ არ ამოვმხტარიყავ. გავექანე ღობისკენ და გასასვლელს ვეძებდი, რომ ამ დროს ჩემმა პატრონმა თოკი გადამაგდო კისერზე და უცებ დამიჭირა. ხელში მათრახი ეჭირა და კარგა გადამიჭირა; ძაღლი კბენდა, პატრონი ძირტყამდა... ბევრი ვინანე, რომ ვზარმაცობდი. ბოლოს პატრონმა ძაღლი მოაშორა, მათრახი ქამარში გაირჭო, მომხსნა თოკი, ავშარა გამიკეთა და შერცხვენილი და ნაცემნატეხი ურემში შესაბმელად წამიყვანა.

მერე გავიგე, რომ თავის შვილი დაეტოვებინა გზაზე, ჭისკრის ახლოს, რომ კარი გაეღო ჩემთვის, თუ მოვიდოდი. იმან თურმე დამინახა თხრილისკენ მიმავალი და თავის მამას უთხრა. პატარა მუსანათი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარგი არა მინატრია-რა მისთვის მას უკან, მინამ ჩემმა უბედურობამ და გამოცდილებამ არ გამომაკეთა.

იმ დღიდან უფრო სასტიკად მეპყრობოდნენ. მოინდომეს ჩემი მთლად ჩაკეტვა. მაგრამ ჩემი კბილებით უველა კარების გადებას ვახერხებდი: თუ რაზა იყო, გადმოვაგდებდი, თუ ჩანგალი, ავხსნიდი, თუ ურდული—გავსწევდი. უველგან შევდიოდი და უველგან გავდიოდი; პატრონი იგინებოდა, ჯავრობდა, მცემდა, სასტიკად მექცეოდა და მეც თან-და-თან უარესად ვექცეოდი. ჩემივე ბრალი იყო, რომ უბედური შევიქენი. ვადარებდი ჩემს ბედკრულ ცხოვრებას უწინდელ ცხოვრებასთან იმავე პატრონებთან და იმის მაგივრად, რომ გავსწორებულიყავ, თანდათან უფრო ვჯიუტობდი და ვბოროტდებოდი.

ერთ დღეს ბოსტანში შევედი და ჭარხალი სულ გადავსჭამე. მეორედ ის ბაგშვი გადმოვაგდე, მამასთან რომ დამაბეზღა. მესამედ შესადღვები მაწვნები დავაქციე, დავსჭელიტე წიწილები და ინდოურის ჭუკიები, დავკბინე ღორები. ბოლოს ისეთი საძაგელი რამ შევიქენი, რომ ქალბატონმა სთხოვა ქმარს,—ორი კვირის შემდეგ რომ ბაზრობა იქნება,—იქ გაეყიდეო. გამხდარი და გასაწყლებული ვიყავ ცემითა და უჭმელობით. რომ უფრო კარგ ფასში გავეყიდნე, მოინდომეს ჩემი გასუქება: დაუშალეს ბიჭებს ჩემი წვალება, აღარ მამუშავებდნენ და მშვენივრად მკვებამდნენ. იმ ორი კვირის განმავლობაში ძალიან ბედნიერი ვიყავ. პატრონმა ბაზარში გამიყვანა და ხუთ თუმნად გამყიდა. როდესაც ვეთხოვებოდი, მინდოდა ერთი კარგა მეკბინა, მაგრამ შემეშინდა, ახალი პატრონები ცუდი თვალით შემომხედვენ მეთქი და იმითი დავკმაყოფილდი, რომ ზიზღით ზურგი შევაქციე.

ნ. ყიფიანისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯია

(თარგმანი)



ეიშო, მიშო! ეკვიროდა აეკვავებულ ბუჩქთან მდგომი ლიზა: ვიღაცას ფოთოლზედ ბაბბა დაუკრავს; იქნება შენ დააკარი?

— არა, მიუგო მიშომ, — საშა იქნებოდა უთუოდ, ან ვალოდია.

— ეჰ, სად შეუძლია ვალოდიას მაგის გაკეთება! უთხრა ლიზამ და თან ათვალიერებდა ცნობის მოუყვარეობით: შეხედე, როგორ ხელოვნურად არის დაჭიმული წმინდა ძაფები და მკვიდრად არის მიმაგრებული ჰატარა მწვანე ფოთოლზე!

— დაანქერდი, უთხრა მიშომ: შიგ რაღაცა მრგვალია! ამ სიტყვებთან ერთად ის წასწვდა ბურცს ასაგლეჯად და გადასაგდებად.

— არა, მიშო! ხელს ნუ ახლებ, დაიწივლა ლიზამ და თანაც მკლავი დაუჭირა, არა სედავ, შიგ ჭიაა, ინძრევა კიდეც!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვები მართლაც არ შეშცდარან: ბუჩქის ერთ ფოთოლზედ, მსუბუქ გაშჭვირვალე საბნის ქვეშ, რომელიც თეთრ ბაბას მრიელ წააგავდა, თხელ კანში იწვა ჰატარა ფუმფლი. ის დიდი ხანია იქ იწვა და დიდი ხანიც არწევდა მის ჭაეროვანს აკვანს მსუბუქი ნიავი და ახლა ბავშვების ცხარე ბაასმა გამოაღვიძა. თავისი წვეტიანი ნესტარი კანსა ჭკრა, გააკეთა ჰაწაწა მრგვალი უჭვრიტანა, გამოჭეო შიგ თავი, შეჭხედა ღვთის გაჩენილს ქვეყანას. ძალიან მოეწონა იქაურობა, მშვენივრად იგრძნო თავი მზის ცხოველმოფელ სხივების სითბოზედ.

დაფიქრდა ჰატარა ფუმფლი. „ეს რა ამბავია? სჩანს, აქ ძალიან კარგი სამეოფია; მოდი ერთი გავიწევი, და თან მიაწვა ჰატარა უჭვრიტანას მეტი ძალითა და ღონით. უჭვრიტანაც გაფართოვდა. ფუმფლმა თავისუფლად შესძლო კანიდგან გამოსვლა. გამოვიდა და რას ჭხედავს: მის მახლობლად იქვე ფოთოლზედ ციური ნამის წვეთი ციმციმებდა, და შიგ მოელვარე მზის სხივები მრავალ ფეროვან ზოლებად ეკვრებოდა ფოთლებს.—მოდი, შევსვამ ამ ტკბილ წვეთს, სთქვა ფუმფლმა, მიცოცდა მართლაც უფრო ახლო და დალია კიდევაც. გამხიარულდა ფუმფლი, მთლად გაცოცხლა და გაფხიზლა ცელქმა ნიავმა, რომელიც ბუჩქის ნამიან ფოთლებს ოდნავ არხევდა და თან ათრთოლებდა მასზედ დაჰკურებულს ნამის წვეთებს. ამ დროს ევავილებიც უხვად აბერტყდნენ სუნნელოვან მტვერს ჩვენ ჰატარა ფუმფლს.

— „არა, — სთქვა ფუმფლმა, ახლა-კი ვეღარავინ მომატეუილებს. არა, რისთვის უნდა ჩაკეტვრე ჩემ სულის შემხუთავ საბნის ქვეშ და ვწუწნო რაღაც გამხმარი კანი!? დავრჩები ასე ჩემთვის თავისუფლად; აქ მრავალი სუნნელოვანი ევავილებია, ზედ ბევრი ბუსუსებიც არის და მაშ ძალიან კარგად შევძლებ იმათზედ მოჭიდებას“. მაგრამ ამ დროს ფოთლებმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შრიალი შეჰქონეს, ჭია-ღუები შეშფოთდნენ და გაეშურნენ. ცა ჩამობნელდა; თითქო მზესაც-კი შეეშინდა, შავ ღრუბლებს მიეფარა, ეკავებმა საზარელი ჩხავილი მორთეს და იხვებმა ეიეინი. წასკდა ცას კოკის-ჰირული წვიმა; საცოდავი ფუმფლი ჰხედავს, რომ ბუჩქების ქვეშ ზღვა გასკდა, რომლის ჰაწაწა ტალღები კიდევაც სწვდებოდა ფუმფლს. უსიამოვნო ქრუანტელმა დაუარა ჰატარა არსებასთან სიცივისაგან და თან უფრო მეტად შიშისაგან; ძლივს მოიკრიბა ღონე და გაეშურა თავის ბინისკენ. მიცოცდა, დიდი გაჭირვებით ჩაძვრა თავის კანში და თეთრ ბამბის ფარდას ამოეფარა. დასთბა ჰატარა ფუმფლს. გამოიდარა კიდეც, მზემ გამოანათა და მისი სხივები ისე მოჰხვდა ბალახებზე და ბუჩქებზედ დარჩენილ წვეთებს, თითქო ჰაწაწა ნაჰერწკლები აანთოვო.

გავიდა ორი-სამი დღე, ფუმფლი სულ წევს ბამბის საბნის ქვეშ; იშვიათად თუ გამოჰყოფს თავს, ისიც მხოლოდ იმისთვის, რომ ფოთოლი მოსწიწკნოს, ორეემ მთლად მოსვენებულია თავის აკვანში. ამ სამი დღის განმავლობაში ტანზედ რაღაც გინგლი გაუჩნდა. არ გაუვლია ერთ კვირას, ეს გინგლი ჭრელ თბილ ბეწვად შეეცვალა: „ეჰ, გაიფიქრა ფუმფლმა, ნუ თუ მთელი საუკუნე უნდა ვიწვე ამ ჩემ საწოლში? ნუ თუ სულ ასე უნდა მეშინოდეს წვიმისა? მე მგონი, ამ ჩემ ქურქში სრულებითაც არ უნდა მეშინოდეს; მოდი ერთი გარედ გავალ ამ ჩემი მორთულობით!

გამოვიდა. ნახა, ზევიდამ ოდნავ გაშლილი ქორფა კოკორი გადმოჰყურებს, რომლისგანაც თაფლივით ტკბილი წვენი გამოდის და თითქოს ეპატიჟება ჰატარა ფუმფლს. ფუმფლმაც ველარ მოითმინა და სიჩქარით გაეშურა ყვავილისაკენ; მაგრად შემოეხვია ყვავილის კუნწს და ეამბორა თავის ახალ შეძენილს მეგობარს; გაიხედა, სხვანი კიდევ ამაზე უკეთესები იყვნენ. ფუმფლი მათაც წაეტანა. ჰხედავს, რომ ეს ყვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვილები ეველა ერთი მეორეზედ უკეთესებია, ეველანი რაც-
საიდუმლოდ შრიალებენ და თან ასხურებენ ფუმფლს თაფლსავით
წვენს. ისე გამხიარულდა ჩვენი ფუმფლი, ისე, რომ სუეველა-
ფერი დაავიწყდა. ამ დროს მოულოდნელად დაჭბერა ქარმა
და ჩვენი ფუმფლი ძირს ჩააგდო.

დაღონდა ჩვენი ფუმფლი, მაგრამ თავს მაინც კიდევ მა-
ლე მისცა ნუგეში. თუმც პირველი ნახტომი ვერ მოძივდა
კარგი, მაგრამ რა ვუყოთ, შემდეგისათვის მაინც მასწავლის
ჭკუას; ჩემს აკვანს-კი არას შემთხვევაში აღარ დავუბრუნდები!
მართლაც და რა?! დროა ახლა-კი მე ჩემი ჭკუით ვიცხოვრო.“
სთქვა და წაცოცდა; წავიდა, მაგრამ საით მიდიოდა, თითონაც
არ იცოდა.

ელენე ჭიჭინაძისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

თეთრი სახლი უსაძირკვლო,
უსალუქოდ წოდებული,
ხან შეკრული, ხან გახსნილი,
ხან მგზავრი და ხან დებული.

—

ვერ გამოსჭრის კაი მჭრელი,
ვერ შეჭკერავს ხარაზია,
დედის მუცლით არ იშობის,
არც დაიდგმის დარბაზია,
ლალის ფერად აუვავდების,
ხელთ დავიჭერთ,—ლამაზია.

საყურადღებო ციფრები, შედგენილი ვარსკვლავთმრიცხველ ასოფ სოლლეისაგან

(წარმოდგენილი თეოფ. კანდელაკის მიერ.)

$1 \times 9 + 2 = 11$
$12 \times 9 + 3 = 111$
$123 \times 9 + 4 = 1111$
$1234 \times 9 + 5 = 11111$
$12345 \times 9 + 6 = 111111$
$123456 \times 9 + 7 = 1111111$
$1234567 \times 9 + 8 = 11111111$
$12345678 \times 9 + 9 = 111111111$

$1 \times 8 + 1 = 9$
$12 \times 8 + 2 = 98$
$124 \times 8 + 3 = 987$
$1234 \times 8 + 4 = 9876$
$12345 \times 8 + 5 = 98765$
$123456 \times 8 + 6 = 987654$
$1234567 \times 8 + 7 = 9876543$
$12345678 \times 8 + 8 = 98765432$
$123456789 \times 8 + 9 = 987654321$

არითმეტიკული გასართობი

აიღეთ ისეთი რიცხვი, რომ შესდგებოდეს ასეულებისგან, ათეულებისგან და ერთეულებისგან. ერთეულების მაჩვენებელი ციფრი, ორით ან მეტით უნდა იყოს ნაკლები ასეულების ციფრზედ. გადააბრუნეთ ეს რიცხვი და სწორე რიცხვიდან გამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კელით; ჯამს ძიუმატეთ იმისაჯე გადაბრუნებული რიცხვი; რაც გამოვა, გაჭეავით სამად და ეოველთვის გამოვა 363.

მაგალითი:

```
   582
 - 285
 -----
   297
 + 792
 -----
1089:3=363
```

რ ე ბ უ ს ი

მე-18 №-ში მოთავსებული გასართობის ასლნა:



კალამი უნდა გააეოლოთ, როგორც აქ არის ციფრებით აღნიშნული.

ვ. ნ.

მე-18 №-ში მოთავსებული სახუმარო ამოცანის ასლნა:

ურჩია ცხენები გამოეცვალათ. ამოცანა: 29 დღეში. გამოცანა: თევზი. რებუსი: ხელსახოცი გარეცხე.

რედაქტორი მ. ი. დემურია. გამომც. თ. პ. ი. თუმანიშვილი.